ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზედიზედ მეოთხედ!

კალგარი, 9 მარტი. წყვილთა სრიალის უბადლო ოსტატებმა, მოსკოველმა ფიგურისტებმა ი. როდნინამ და ა. ულანოვმა კანადის ამ ქალაქში ზედიზედ მეოთხედ მოიხვეჭეს მსოფლიო ჩემპიონთა სახელი. მათ კარგა ხანია უჭირავთ ყველა დიდი შეჯიბრების საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური. ძნელ ოლიმპიურ წელიწადს დედამიწის ამ საუკეთესო წყვილს ოქრო მიულოცეს ჯერ გეტებორგში, მერე საპოროში და ახლა კალგარის ჯერიც დადგა.

პირველობისთვის 8 ქვეყნის 15 წყვილი იბრძოდა, მაგრამ სალიდერო პოზიციები ისევ საბჭოთა დუეტებმა შეინარჩუნეს: როდნინამ და ულანოვმა, ლენინგრადელებმა ლ. სმირნოვამ და ა. სურაიკინმა. მათ შეუპოვარი ბრძოლა გაუჩაღეს ამერიკელებმა ა. სტარბუკმა და კ. შელიმ, რომელთა ნებისმიერი პროგრამა ურთულესი ელემენტებით იყო აღსავსე. გუშინ ამ დიდებულმა წყვილმა მართლაც მოაჯადოვა მაყურებელი — კანადელები რამდენიმე წუთს მხურვალე ტაშს უკრავდნენ. სავალდებულო პროგრამის შემდეგ სტარბუკი და შელი V ადგილზე იყვნენ, მაგრამ ნებისმიერი კომპოზიციის ბრწყინვალე შესრულებით საბოლოოდ ბრინჯაო მოიპოვეს.

• • •

## ტექნიკური შედეგები

წყვილთა სრიალი. 1. ი. როდნინა — ა. ულანოვი — 421,8 ქულა (ადგილების ჯამი — 9), 2. ლ. სმირნოვა — ა. სურაიკინი (ორივე — სსრ კავშირი) — 416,7 (21,5), 3. ა. სტარბუკი — კ. შელი (აშშ) — 412,5 (28,5), 4. მ. გროსი — უ. კაგელმანი (გდრ) — 409,8 (38), 5. ა. ლემანი — ჰ. ვიზინგერი (გფრ) — 407,8 (42), 6. ი. ჩერნიაევა — ვ. ბლაგოვი (სსრ კავშირი) — 404,0 (55).

ვაჟები. სავალდებულო პროგრამა. 1. ო. ნეპელა (ჩეხოსლოვაკია) — 1153,5 (9), 2. ს. ჩეტვერუხინი — 1092,8 (21,5), 3. ვ. კოვალიოვი (ორივე — სსრ კავშირი) — 1062,5 (32), 4. ი. ჰოფმანი (გდრ) — 1023,7 (47), 5. ჯ.-მ. პეტკევიჩი (აშშ) — 1015,0 (45,5), 6. ჯ. კარი (ინგლისი) — 992,8 (65,5)... 8. ს. ვოლკოვი (სსრ კავშირი) — 997,6 (70,5).

ქალები. ორი სავალდებულო ფიგურის შემდეგ 1. ბ. შუბა (ავსტრია) — 341,2 (9), 2. კ. მაგნუსენი (კანადა) — 309,6 (25), 3. ჟ. ალმაში (უნგრეთი) — 299,6 (29,5), 4. ჯ. ლინი (აშშ) — 291,6 (38), 5. ჯ. სკოტი (ინგლისი) — 287,6 (41), 6. ხ. მორგენშტერნი (გდრ) — 272,2 (68,5)... 21. მ. სანაია (სსრ კავშირი) — 220,8 (1?0,5).

• • •

სურათზე: ი. როდნინა და ა. ულანოვი ასპარეზობისას.

ნ. ნაუმენკოვის ფოტო (საკდეს).



19

◆ კალგარი, 10 მარტი. მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ვაჟთა ერთეულების თანრიგში საბჭოთა ფიგურისტებმა ორი მედალი მოაპოვეს. მოსკოველმა ს. ჩეტვერუხინმა თავისი ოლიმპიური წარმატება გაიმეორა და ვერცხლის ჭილდო დაისაკუთრა, სსრ კავშირის მეორე წარმომადგენელმა, ჩემპიონატის დებიუტანტმა ვ. კოვალიოვმა კი ბრინჯაო მიიღო. მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჩეხოსლოვაკიელმა ო. ნეპელამ შეინარჩუნა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 49 (4559)

1972 წ. 11 მარტი, შაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ფავორიტებად არ მიაჩნდათ

მინსკი, 9 მარტი. კიეველმა ვ. იაცენკომ, რომელიც აქამდე 3-მეტრიანი ტრამპლინიდან წყალში ხტომაში ფავორიტად არ ითვლებოდა, გუშინწინ ყველას აჯობა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე შეჯიბრებაში — 471,96 ქულა. II ადგილზეა ვოლგოგრადელი ვ. კაპიროლინი (470,07), III — მოსკოველი ვ. ლაგო (462,18).

ასევე არ მიაჩნდათ ფავორიტად 18 წლის ა. გენდრიქსონი (ალმა-ათა) 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში. მაგრამ სწორედ მან მოიგო „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზი — 417,60 ქულა დააგროვა. II ადგილზეც ყაზახეთის დედაქალაქის წარმომადგენელი ი. გრიშინი გავიდა — 414,27.

3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გამარჯვებული იაცენკო ამჯერად ბრინჯაოს მედალს დასჯერდა — 410,61.

ქალთა შორის 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში გუშინ საუკეთესო იყო ვოლგოგრადელი ა. სელინა — 335,82. ამრიგად, ამ ნიჭიერმა ქალიშვილმა მეორე წარმატებას მიაღწია (ასპარეზობის პირველ დღეს სელინამ გაიმარჯვა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში).

II ადგილზე გავიდა დნეპროპეტროვსკელი ლ. ასაევა (305,73), ხოლო III — ლვოველი ტ. შტირიოვა (299,88).

• • •

სურათზე: კოშკიდან ხტომაში შეჯიბრების ლაურეატები ა. სელინა, ტ. შტირიოვა და ლ. ასაევა.

ე. უსპენსკის ფოტო. („კომსომოლსკაია პრავდა").



# ცისკარას თოვლიან ბილიკებზე

ცისკარას მთაზე გაიმართა „განთიადის" აჭარის საოლქო საბჭოს პირად-გუნდური პირველობა სათხილამურო სპორტში.

4×5 კილომეტრზე ვაჟთა ესტაფეტაში ჩემპიონის წოდება მოიპოვა ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის კოლექტივმა. II ადგილზეა ხის დამმუშავებელი კომბინატის ნაკრები, III — მანქანათსაშენი ქარხნის გუნდი.

ქალები 3×3 კილომეტრზე ესტაფეტაში ასპარეზობდნენ. გაიმარჯვა ქარხანა „ელექტროხელსაწყოს" ნაკრებმა.

10 კილომეტრზე რბოლაში ვაჟთა შორის „განთიადის" საოლქო საბჭოს ჩემპიონი გახდა ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის წარმომადგენელი, სპორტის ოსტატი ე. სუსლოვი. ქალთა შორის 5 კილომეტრზე რბოლა მოიგო მისმა თანაგუნდელმა თ. გერონინამ.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მოთხილამურეებს დარჩათ.

ო. მურვანიძე. (ჩვენი კორ.).

ბათუმი.

# ჯერჯერობით 5:2

მოსკოვი, 10 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველო — უკრაინის მატჩის ერთადერთ გადადებულ პარტიაში თ. ხუგაშვილმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ვ. სემიონოვასთან და მატჩის ანგარიში გახდა 9.3 უკრაინელთა სასარგებლოდ.

IV ტურიდან უზბეკეთის მოჭადრაკეებთან გადადებულ მატჩში ორი პარტია იყო დასამთავრებელი: გ. ზაიჩიკმა წააგო გ. აგზამოვთან, ხოლო ბ. გურგენიძემ მოუგო ა. გრუშევსკის. ამრიგად, შეხვედრის ანგარიში გახდა 6,5:5,5 უზბეკეთის გუნდის სასარგებლოდ (ჩვენ ვიტყობინებოდით, თითქოს ვეფხიშვილმა წააგო ტაშხოჯაევთან. სინამდვილეში გაიმარჯვა ქართველმა მოჭადრაკემ).

ჯგუფში ბოლო ტურის მატჩში საქართველოს მოჭადრაკეები მოლდავეთის გუნდს შეხვდნენ. ე. გუფელდი და რ. ჯინჯიხაშვილი ყაიმზე შეუთანხმდნენ ა. ლუტიკოვსა და ნ. პოპოვს. ე. უბილავამ მოუგო შ. გიტერმანს, ს. ჩეჩელიანმა — ი. მოსიონჟიკს. ბ. გურგენიძე — ბ. ნევედნიჩის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. დ. გედევანიშვილმა მოუგო ბ. იტკისს. ვ. ვეფხიშვილმა და გ. ზაიჩიკმა ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები მ. როიტმანთან და ლ. კინისთან. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ც. კობაიძე — რ. ნევედნიჩაიას. თ. ხუგაშვილ — ე. ეპშტეინის, თ. კაჭარავა — ე. ფლეიმანის შეხვედრები მ. წერეთელმა წააგო ნ. დრელთან. ამრიგად, ანგარიშია 7.5 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ.

საინტერესოა, ვინ რამდენი ქულა შესძინა რესპუბლიკის ნაკრებს. გუფელდმა — 3,5 ქულა 5-დან, ჯინჯიხაშვილმა — 3 5-დან, უბილავამ 3 4-დან, ჩეჩელიანმა — 1,5 3-დან, მიქაძემ — 1 3-დან, გედევანიშვილმა — 2 5-დან, ვეფხიშვილმა — 3 5-დან, ზაიჩიკმა — 2,5 5-დან, კობაიძემ — 3,5 5-დან, ხუგაშვილმა — 2 5-დან, კაჭარავამ — 4 5-დან, წერეთელმა — 1,5 5-დან, გურგენიძემ — 4 5-დან.

ფინალში შესულ გუნდებს ჯგუფში ნათამაშევი მატჩების შედეგები გადაჰყვათ. ეს შედეგები ჩაითვალა I ტურის მატჩებად (მოსკოვი — ლატვია 9:3, უკრაინა — საქართველო 9:3, ლენინგრადი — რსფსრ 5:7).

II ტურში საქართველოს მოჭადრაკეები ლენინგრადელებს შეხვდნენ. ჯერჯერობით ანგარიშია 5:2 ჩვენების სასარგებლოდ.

გუფელდს ვ. კორჩნოისთან უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა, მაგრამ ცეიტნოტში უზუსტოდ ითამაშა და ახლა პარტია უარეს პოზიციაში აქვს გადადებული. მ. ტაიმანოვი მთელი პარტიის მანძილზე უტევდა ჯინჯიხაშვილს, მაგრამ შეცდა და 28-ე სვლაზე შამათის მუქარის გამო დანებდა.

უბილავა — ხ. ფურმანისა და გურგენიძე — მ. ცეიტლინის პარტიები გადადებულია. ზ. მიქაძემ მოუგო ა. ლუკინს. გედევანიშვილის პარტია სსრ კავშირის ჭაბუკთა ჩემპიონ ა. კოჩიევთან ყაიმით დამთავრდა. ვეფხიშვილმა მოუგო ნ. პუკშანსკის, ზაიჩიკმა წააგო ვ. კოზლოვთან. კობაიძემ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ლენინგრადის ჩემპიონ ლ. კრიპტოლთან. ხუგაშვილმა და კაჭარავამ გადადეს პარტიები ვ. ბაჟინასთან და ე. ლევიტინასთან. წერეთელმა მოუგო ნ. ზუბოვას.

სხვა მატჩებში ანგარიში ასეთია: მოსკოველები უგებენ უკრაინელებს — 3,5:1,5 (7 პარტია გადადებულია). აღსანიშნავია მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტ. პეტროსიანის გამარჯვება სსრ კავშირის ჩემპიონთან, ხარკოველ ვ. სავონთან, აგრეთვე, ლ. შტეინის მოგება მსოფლიოს ექს-ჩემპიონთან, მოსკოველ ვ. სმისლოვთან. რსფსრ-ს კოლექტივი უგებს ლატვიას — 5:2 (5 პარტია გადადებულია). ამ მატჩში რიგელმა ა. გიპსლისმა კარგ სტილში მოუგო ა. კარპოვს.

თ. გიორგაძე, ოლიმპიადის მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

● სტოკჰოლმი, 8 მარტი. „ვასა-ლოპეტი" — მასობრივი სათხილამურო რბოლა 85 კილომეტრზე შვეციაში ერთობ პოპულარულია. შეჯიბრებაში მონაწილეობენ არა მარტო ცნობილი სპორტსმენები, არამედ თხილამურების ათასობით მოყვარულიც. გასულ კვირას გამართული „ვასა-ლოპეტი" რიგით 49-ე იყო. რბოლამ თითქმის 8 ათას მოასპარეზეს მოუყარა თავი, რომელთა შორის უცხოეთის 16 ქვეყნის 700 მოთხილამურე იყო. სტარტზე საბჭოთა მრბოლელებიც გამოვიდნენ საპოროს „თეთრი თამაშების" ჩემპიონის ვ. ვედენინის მეთაურობით. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს გახლდათ სსრ კავშირის წარმომადგენელთა დებიუტი „ვასა-ლოპეტში". ვედენინი 68 კილომეტრზე ლიდერობდა რბოლას, მაგრამ პატარა ქალაქ მორაში მოწყობილ ფინიშთან აურაცხელი მაყურებლის ტაშის გრიალში პირველი მივიდა ცნობილი შვედი მრბოლელი ლ.-ა. ბელინგი — 5:35.19. ვედენინმა II ადგილი დაიკავა — 5:40.03.

● კიროვო-ჩეპეცკი, 9 მარტი. საპოროს XI თეთრი ოლიმპიადის ჩემპიონმა, ბიატლონისტთა ესტაფეტაში გამარჯვებული საბჭოთა გუნდის წევრმა ა. ტიხონოვმა (ნოვოსიბირსკი) ერთწლიანი „შესვენების" შემდეგ დაიბრუნა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება ინდივიდუალურ რბოლაში. სროლაში მან მეორე და მესამე ზღუდეებზე 3 საჯარიმო ქულა დაუგროვდა, მაგრამ მეოთხე ზღუდეზე ხუთივე ტყვია მიზანს მოახვედრა და გზას გაუდგა: დისტანციის ბოლო მონაკვეთის დასაწყისში იგი იძულებული გახდა გატეხილი თხილამური გამოეცვალა. ტიხონოვმა მაინც შეძლო დანაკარგის ანაზღაურება და 20-კილომეტრიან ნათხილამურევზე საუკეთესო დრო აჩვენა — 1:09.57. 4×7,5 კილომეტრზე ესტაფეტა დინამოელებმა მოიგეს. დინამოელთა გამარჯვებით დამთავრდა 3×7,5 კილომეტრზე იუნიორთა ესტაფეტაც.

● პრაღა, 9 მარტი. ასტრახანელმა ა. ზახუხინამ მოიგო ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქ გამართული საერთაშორისო შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში. გამარჯვებულმა 28,75 ქულა დააგროვა. II ადგილზეა მ. კლინგეროვა (ჩეხოსლოვაკია) — 28,35. ზახუხინას თანაქალაქელმა ე. ლეონტიევამ III-IV ადგილები გაიყო ბულგარელ მ. ზახარიევასთან — 28,25 ქულა თითოეულს.

საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობა

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის

# გ. სიხარულიძის სიტყვა

სულ ახლახან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება — დაამტკიცა საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განვითარების ხუთწლიანი გეგმა. ამჟამად კი ჩვენი ქვეყანა საბჭოთა კავშირის შექმნის ორმოცდამეათე წლისთავის ღირსეულად შესახვედრად ემზადება.

ჩვენი სახელმწიფოს მშენებლობის ყველა ეტაპზე სახელოვანი ლენინური კომკავშირი პირნათლად ასრულებდა და ასრულებს პარტიის დავალებებს, ითვლება მის საიმედო თანაშემწედ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

ამასთან, კომკავშირს ეკუთვნის ბევრი შესანიშნავი თაოსნობა შრომის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, ფიზიკური კულტურის განვითარების გზაზე.

ფიზიკური კულტურა და სპორტი ჩვენში სახალხო სახელმწიფოებრივ საქმედ ითვლება და მას ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად მიიჩნევენ.

ამჟამად საბჭოთა ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის", რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 17 იანვრის დადგენილებით 1 მარტიდან შევიდა ძალაში.

შესაძლოა ახლა ალბათ ბევრს აღარ ახსოვს, რომ პირველი ეს კომპლექსი სწორედ კომკავშირის თაოსნობით იქნა შემოღებული 1931 წლის მარტში. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი სახელოვანი კომკავშირი ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდება. ამოცანა ხომ ახლა უფრო რთული და საპატიო გახლავთ — გავხადოთ ამ კომპლექსის ნიშნოსანი 10-დან 60 წლამდე ასაკის ადამიანები, ესე იგი, აქტიურად შევუწყოთ ხელი საბჭოთა მოქალაქის მორალურ, სულიერ და ფიზიკურ ჩამოყალიბებას, მოსახლეობის მომზადებას მაღალნაყოფიერი შრომისა და სამშობლოს დაცვისთვის.

და აი, ახალი კომპლექსის ძალაში შესვლის პირველივე დღეს, 1972 წლის 1 მარტს, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" ტერიტორიასა და სტადიონზე დაიწყო მშთ-ს ნორმატივების ჩაბარება. უკვე გამოჩნდნენ ოქროსა და ვერცხლის სამკერდე ნიშნების კანდიდატები.

ვიმედოვნებთ, რომ ამ კარგ თაოსნობას კომკავშირის ხელშეწყობით მხარში ამოუდგებიან რესპუბლიკის საწარმოდაწესებულებების, სასწავლებლების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები.

ამხანაგებო! დღეს ჩვენი სპორტული რესპუბლიკა მილიონზე მეტ ფიზკულტურელს ითვლის, რაც საქართველოს მთელი მოსახლეობის 24 პროცენტს აღემატება. მათგან 317.800 კომკავშირელია, რაც კომკავშირელთა საერთო რიცხვის 62 პროცენტს შეადგენს. ვფიქრობთ, ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის წარმატებები და ნაკლოვანებანი ჩვენს რესპუბლიკაში განსაკუთრებით რელიეფურად გამოვლინდა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში, სადაც საქართველოს სპორტსმენებმა მოიპოვეს 79 მედალი, აქედან, 28 ოქროსი. სულ მედალოსანთა შორის 43 სპორტსმენი კომკავშირელი იყო.

გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებისთვის ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაცია 12 წელია ზედიზედ ჯილდოვდება საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით ისეთი სახეობების განვითარებაში, როგორიცაა მძლეოსნობა, კრივი, ცხენოსნობა, ველოსპორტი, ფრენბურთი... რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში ჯერ კიდევ ნაკლებად ტარდება მასობრივი ღონისძიებები — მძლეოსნური კროსები, ესტაფეტები, ველოგაჯიბრებები...

იქ, სადაც კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები მთელი სერიოზულობითა და მონდომებით ზრუნავენ ახალგაზრდობის ჯანმრთელობას, მის ფიზიკურ აღზრდასა და ნებისყოფის განმტკიცებას, შედეგები მართლაც მნიშვნელოვანია.

იქ, სადაც ახალგაზრდები გატაცებით მისდევენ სპორტს, როგორც იტყვიან, ქუჩისკენ და აზარტული თამაშებისკენ არ უჭირავთ თვალი, ბევრად ნაკლებია უსაქმურთა რიცხვი. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს თბილისის პირველი მაისისა და ორჯონიკიძის რაიონების კომკავშირელთა და ფიზკულტურელთა თაოსნობა, რომლებიც საკუთარი ძალებით აშენებენ სპორტულ მოედნებს ეზოებში, მასივებში, მიკრორაიონებში. უნდა აღინიშნოს საბურთალოს მასივის № 74 სახლმმართველობის ახალგაზრდების თაოსნობა, რომელთაც შესანიშნავი აღმზრდელი, მეცნიერი და წარსულში ცნობილი სპორტსმენი, კომუნისტი ედუარდ ნიკოლაიშვილი ხელმძღვანელობდა. ახალგაზრდებმა აქ საკუთარი სტადიონი გააკეთეს, რომელსაც სიყვარულით „საბურთალოს მარაკანა" უწოდეს. იქვე მოწყობილია კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტი...

უნდა დავასახელოთ როგორც ქალაქის, ისე სოფლის ფიზკულტურის კოლექტივები, რომლებიც კარგი მუშაობით და ასევე მაღალი შედეგებით გამოირჩევიან. ესენი არიან, მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული, ქუთაისის საავტომობილო, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო და ელმავალმშენებელი ქარხნების კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები.

მისაბაძია ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის, მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედისა და გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის ახალგაზრდობის ინიციატივა, რომლებმაც საკუთარი ძალებით ააგეს მშვენიერი სპორტული ბაზები. აქ ქალიშვილები და ჭაბუკები მუდამ პოულობენ თავისთვის საინტერესო საქმეს და მშობლიური სოფლიდან არ გარბიან.

სამწუხაროდ, მათმა თაოსნობამ ჯერჯერობით ვერ ჰპოვა მხარდაჭერა ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონებში. ამ საქმისთვის სათანადოდ არ ზრუნავენ მაიაკოვსკის, ლაგოდეხის, ბოლნისის, წალენჯიხის, ზნაურის, შუახევის, გულრიფშისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისთვის ნაკლებად იწუხებენ თავს მცხეთის ხე-ტყის კომბინატში, ბორჯომის № 1 ჩამომსხმელ ქარხანაში, სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატში.

თბილისის ანალიზურ ხელსაწყოთმშენებელ სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში ათასზე მეტი ახალგაზრდა მუშაობს. აქ დიდი ხანია გამოყოფილია საჭირო ტერიტორია სპორტული ბაზების მოსაწყობად, მაგრამ დღემდე ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა. უფრო მეტიც, დირექტორ სიმონიანის განკარგულებით გაუქმდა ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტის ერთადერთი საშტატო ერთეული, რითაც უხეშად დაირღვა საკავშირო სადირექტივო ორგანოების დადგენილება.

როგორც ეტყობა, ზემოთ დასახელებული კოლექტივები, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები სათანადო მონდომებას, საქმის სიყვარულსა და პრინციპულობას არ იჩენენ.

ამასთან, ახალი ამბავი როდია, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი დადებით გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, დაავადებათა შემცირებაზე. ამის დამადასტურებელი ფაქტი ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში და სოფლადაც ბევრი გვაქვს. კარგად არის მოწყობილი ეს საქმე თბილისის № 6 და № 7 სამკერვალო ფაბრიკებში, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში, ცხაკაიას ხალიჩების კომბინატში, ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში...

თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკაში (დირექტორი ამხ. ავალიანი, მეთოდისტი ამხ. მორგოშია) ყველა საამქრო რადიოფიცირებულია. საწარმოო ტანვარჯიში სისტემატურად, ყველა ცვლაში ტარდება. ამის შედეგად ფაბრიკაში შრომისნაყოფიერება საშუალოდ 3-4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო დაავადებათა რიცხვი ორჯერ და მეტად შემცირდა.

სამწუხაროდ, რესპუბლიკის ბევრ საწარმო-დაწესებულებაში, საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში ეს საქმე ჯერ კიდევ პრიმიტიულად კეთდება. ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელები ვერა და ვერ დარწმუნდნენ, რომ მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენება უებარი საშუალებაა დაავადებათა რიცხვის შემცირებისა, შრომისნაყოფიერების ზრდისა, დისციპლინის განმტკიცებისა და მავნე ჩვევებთან ეფექტური ბრძოლისა.

ამხანაგებო! კომკავშირმა, ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან ერთად, განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს სპორტის ეროვნული სახეობების განვითარებაში, რომელნიც კლასიკურ სახეობებს კვებავენ და ასულდგმულებენ. სამწუხაროდ, ადგილებზე ამ საკითხს რატომღაც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს: ბოლო სამი წლის მანძილზე სოფლად აგებულ 51 კლუბსა და კულტურის სახლს არც ერთი სპორტული ნაგებობა არა აქვს, რითაც უხეშად ირღვევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 აგვისტოს დადგენილება ამ საკითხზე.

ფიზიკურმა კულტურამ და სპორტმა ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს სტუდენტ ახალგაზრდობას შორის. ამ მხრივ, რასაკვირველია, დიდი მოვალეობა აკისრიათ კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. ზოგრამ უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობას ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ჩასატარებლად ადგილიც არ გააჩნია (აღარას ვიტყვით მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადებაზე). ისინი ძალიან ჩამორჩებიან სპორტულ ნაგებობათა მშენებლობაშიც. ისეთ მოწინავე უმაღლეს სასწავლებელშიც კი, როგორიც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტია, ხუთ წელზე მეტია ჭიანურდება 25-მეტრიანი საცურაო აუზის მშენებლობა.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პედაგოგიური ინსტიტუტი უკვე ორ წელზე მეტია ამზადებს ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს სკოლებისთვის. ისმის კითხვა: რა სპეციალისტი უნდა მოამზადოს აღნიშნულმა ინსტიტუტმა, რომელსაც სათანადო სპორტული ბაზა არ გააჩნია?

სხვადასხვა დროს ბევრი ითქვა და დაიწერა თბილისის სტუდენტთა ქალაქის სპორტული ცხოვრების ფაქტიურ ჩაშლაზე, მაგრამ საქმეს დღემდე არაფერი ეშველა არ ტარდება დილის ტანვარჯიში, მასობრივი შეჯიბრებები, ტურნირები. ძალიან ცუდ მდგომარეობაშია არსებული სპორტნაგებობები და სხვა.

სახარბიელო მდგომარეობა არც რესპუბლიკის საშუალო სპეციალურ სასწავლებლებსა და ტექნიკუმებშია, მათ თითქმის არ გააჩნიათ საჭირო ნაგებობანი და სპორტული მუშაობა ძირითადად იჯარით აღებულ ბაზებზე ტარდება.

ამხანაგებო! რესპუბლიკაში ჯერ კიდევ საკმაოდ გვაქვს სკოლები, რომლებსაც სპორტული ბაზები არ გააჩნიათ. აქ მაღალ დონეზე ტარდება ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები და თანრიგოსან სპორტსმენებსაც ამზადებენ. უფრო მეტიც, საქართველოს სკოლებს ბევრი მაღალკვალიფიციური სპორტსმენი აღუზრდია, რომლებიც შემდგომში საბჭოთა კავშირის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და ამ ტურნირების პრიზიორები გამხდარან.

მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ ბევრ სკოლას მუშაობის ელემენტარული პირობებიც კი არ გააჩნია. მათი დასახელება ძალზე შორს წაგვიყვანდა. მე ვიტყოდი მხოლოდ ერთი ფაქტის შესახებ მოგახსენოთ: ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რესპუბლიკაში 91 სკოლა აშენდა, რომელთაც სპორტული დარბაზები არა აქვთ გარდა ყველაფრისა, ეს ხელმძღვანელ საკავშირო ორგანოების დადგენილებათა უხეში დარღვევაა.

უდავოა, რომ ზემოთ მოყვანილი ფაქტები ნათლად მეტყველებენ ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელთა ნაკლებ ზრუნვაზე ახალგაზრდობის აღზრდისადმი. ამასთან, არ შეიძლება, არ ვუსაყვედუროთ როგორც ადგილობრივ, ისე რაიონულ, საქალაქო და საოლქო კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, პირველ ყოვლისა, მუშაკებს, რომელთაც ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმე ევალებათ, მაგრამ გულგრილობას იჩენენ.

ამხანაგებო! ამჟამად ჩვენი მთავარი ამოცანაა მოსახლეობას შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი მასობრივი განვითარება და ამის საფუძველზე სპორტული ოსტატობის დონის საგრძნობლად ამაღლება.

ამასთან, ჩვენი ვალია ყველა პირობა შევუქმნათ ქართველ სპორტსმენებს, რათა მათ წარმატებით დაიცვან ჩვენი სამშობლოს სპორტული ღირსება მიუნხენის XX ოლიმპიურ თამაშებში.

დასასრულს ნება მიბოძეთ იმედი გამოვთქვა, რომ საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია, სხვა საკითხებთან ერთად, კვლავ დაუღალავად იბრძოლებს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისთვის.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ყურადღებით, მონდომებით, უშეცდომოდ

თბილისი. სპორტის სასახლე. 7 მარტი.

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — „სტროიტელი" (კიევი) 83:67 (47:29).

„ბურევესტნიკი": ბიჭიაშვილი (გუნდს შესძინა 28 ქულა), ჩხიკვაძე (15), ალთაბაევი (12), ძიძიგური (10), პულავსკი (10), გლურჯიძე (4), ჭუღელი (4).

„სტროიტელი": მარტინოვი (16), კოვალენკო (14), ლუშნენკო (11), ზაბროდა (10), სმოლიაკოვი (4), გლადუნი (4), შაბლინსკი (4), რიჟიკი (4).

მსაჯები — ს. აფანასიევი და ი. აპოლონოვი (ორივე — ლენინგრადი).

დუბლიორები — 91:84 (51:39) „ბურევესტნიკის" სასარგებლოდ.

ვინმე რომ მეორე ტაიმისთვის მოსულიყო სპორტის სასახლეში, ტაბლოზე გამოსახულ ციფრებს კიეველთა სასარგებლოდ მიიჩნევდა და უბრალო შეცდომას დააბრალებდა იმ ამბავს, რომ თბილისელები 18 ქულით იყვნენ დაწინაურებული. არადა, ყველაფერი სწორი იყო. ის, რაც ერთი შეხედვით უცნაურად შეიძლება მოგეჩვენოთ, სავსებით კანონზომიერად ასახავდა მოედანზე გაჩაღებულ ბრძოლას. „ბურევესტნიკი" ამ დღეს მოქმედებდა მაქსიმალური ყურადღებით, მონდომებით, თითოეული მოთამაშის ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინებით და, რაც მთავარია, უშეცდომოდ. საქმე მარტო ის როდი გახლავთ, რომ გამარჯვებულებმა სწორად ააგეს თამაში ტანმაღალი კოვალენკოს წინააღმდეგ. ეს თავისთავად სასარგებლო ფაქტორი იყო, მაგრამ არა გადამწყვეტი. ჩვენი აზრით, „ბურევესტნიკის" წარმატებას ხელი შეუწყო იმან, რომ გუნდმა ირწმუნა, მოგების შესაძლებლობა ისეთ მრისხანე მეტოქესთანაც კი, როგორიც კიევის „სტროიტელია". ამის მიზეზი იყო ჩხიკვაძის ელვისებური გასვლებიც, პულავსკის ენერგიული თამაშიც ფარქვეშ და ბიჭიაშვილის ზუსტი ტყორცნებიც.

სტუმრებმა წარმატებას მხოლოდ პირველ წუთებში მიაღწიეს, მაგრამ უკვე მე-5 წუთისთვის გლურჯიძის ზუსტი ტყორცნის შემდეგ მასპინძლები დაწინაურდნენ. შეხვედრის კულმინაცია იყო მე-17 წუთი, როცა „ბურევესტნიკმა" 22 ქულა მოიმარაგა და ფაქტიურად გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის ბედი.

შესვენების შემდეგაც „ბურევესტნიკი" აქტიურ თამაშს განაგრძობდა და საერთო ინიციატივას ინარჩუნებდა. მიუხედავად იმისა, რომ ხუთი პერსონალური შენიშვნისთვის მოედანი დატოვა ძიძიგურმა (იგი კარგად ეთამაშა კოვალენკოს), კიეველებმა მაინც ვერ შეძლეს გარდატეხის შეტანა და მხოლოდ იმას დასჯერდნენ, რომ ტაიმი 2 ქულით მოიგეს.

განა პარადოქსი არ არის, რომ ისეთმა სუსტმა გუნდმა, როგორიც კიევის არმიელთა კოლექტივია, ჩვენი დედაქალაქიდან 2 ქულა წაიღო, ხოლო „სტროიტელმა" ამდენივე დაკარგა?

ა. მხეიძე.

● ●

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 16 | 15 | 1 | 1355—1100 | 15 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 16 | 15 | 1 | 1120—996 | 15 |
| „კალევი" (ტარტუ) | 16 | 8 | 8 | 1150—1183 | 8 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 16 | 8 | 8 | 1150—1102 | 8 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 16 | 7 | 9 | 1206—1186 | 7 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 18 | 7 | 11 | 1338—1340 | 7 |
| „დინამო" (თბილისი) | 16 | 7 | 9 | 1221—1266 | 7 |
| ასკ (კიევი) | 16 | 7 | 9 | 1060—1161 | 7 |
| „სტატიბა" (ვილნიუსი) | 18 | 4 | 14 | 1233—1429 | 4 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 16 | 4 | 12 | 1085—1165 | 4 |

### ჩვენი კომენტარი

დასასრულს უახლოვდება ჩემპიონატის მეორე წრე: გუნდებს ჩასატარებელი დარჩათ მხოლოდ 8 შეხვედრა. 14 მარტს უკვე საბოლოო სახეს მიიღებს მეორე წრის სატურნირო ცხრილი. მანამდე კი ბევრი რამ არის სამარჩევლო, გასარკვევი...

აი, თუნდაც ლიდერის საკითხი. ცსკა და ლენინგრადის „სპარტაკი" სატურნირო ცხრილში ბოლოს და ბოლოს ერთ დონეზე განლაგდნენ. ახლა ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ტემპით გაივლიან ისინი საფინიშო მონაკვეთს. მეტოქეები აბსოლუტურად თანაბარ მდგომარეობაში არიან: „სპარტაკი" მეორე წრის ბოლო ორ მატჩს კიევში ჩაატარებს, ცსკა კი თბილისში.

საგრძნობლად გამოიკეთა მდგომარეობა საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტმა — ვილნიუსის „სტატიბამ". პირველ წრეში მას არც ერთი ქულა არ ჰქონდა, მეორეში კი ერთბაშად ოთხი მიიღო. ლიტველებმა მეტად საჭირო ქულა წაართვეს თავის მთავარ მეტოქეს — თბილისის „ბურევესტნიკს". მაგრამ მთავარი ეს როდია. მესამე წრის მატჩები სწორედ ლიტვაშია დაგეგმილი და საფიქრებელია, რომ გუნდი, რომელმაც შეძლო „სტროიტელის", „კალევისა" და მოსკოვის „დინამოს" დამარცხება, შეეცდება კიდევ უფრო გამოასწოროს თავისი საქმე.

რთული პრობლემების წინაშე დგას თბილისის „ბურევესტნიკი". პირველი წრის ორ ქულას მეორე წრეში მან ამდენივე დაუმატა და ვერაფრით ვერ გასცდა საშიშ ზონას. არათანაბარი თამაში მისი მთავარი ნაკლი იყო ამჯერადაც. როგორი იქნება „ბურევესტნიკისთვის" მესამე, გადამწყვეტი წრე? შესაძლებელია თუ არა დაკარგულის ანაზღაურება? ყოველივე ეს ძნელი სამარჩიელოა. ყოველ შემთხვევაში, გუნდს უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს.

მნიშვნელოვანი ნახტომი გააკეთა წინ კიევის არმიელთა კოლექტივმა. მართალია, იგი კვლავ უშუალოდ ემიჯნება აუტსაიდერებს, მაგრამ მეტოქეებს ერთმანეთისგან უკვე მთელი 3 ქულა ჰყოფთ. ეს კი არც ისე ცოტაა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მესამე წრეში სათამაშო იქნება მხოლოდ 9 მატჩი, თანაც კიეველ არმიელებს ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ მეორე წრე.

მაშ ასე, 14 მარტიდან დაიწყება ორკვირიანი არდადეგები, მერე კი გადამწყვეტი წრე, რომელიც საბოლოო პასუხს გასცემს ჩემპიონატის მთავარ შეკითხვებს.

ნ. ჯაფარიძე.

• • •

ამას წინათ კაუნასში გაიმართა მორიგი ტურის მატჩი ვილნიუსის „სტატიბასა" და მოსკოვის „დინამოს" შორის. გაიმარჯვა „სტატიბამ" — 67.65.




◆ **რომი, 10 მარტი.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების აქ გამართულ განმეორებით ნახევარფინალურ მატჩში რიგის ტტტ-ს კალათბურთელ ქალთა გუნდმა ისევ დაამარცხა იტალიური კლუბი „ჯესი" (სესტო-სან-ჯოვანი) — 72:42 (38:24). ფინალში რიგელები ორჯერ შეხვდებიან პრაღის „სპარტას" (30 მარტს და 6 აპრილს).

◆ **მონსო ლე-მინი** (საფრანგეთი), **10 მარტი.** ლენინგრადის „სპარტაკის" კალათბურთელ ქალთა გუნდმა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების განმეორებით ნახევარფინალურ მატჩშიც სძლია ადგილობრივ „ფერბს". შეხვედრის ანგარიშია 78:53 (40.32). ფინალში სპარტაკელებს ბელგრადის „ვოჟდოვაცთან" ექნებათ საქმე.

ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი

# ყველაფერი კარგია, რაც კარგად თავდება

რუსთავი. „მეტალურგის“ სტადიონი. 8 მარტი.
„დინამო“ (თბილისი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 4:1 (2:1).
„დინამო“: სტეფანია, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი (კუტივაძე), გუცაევი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.
„მეტალისტი“: სავჩენკო, გუნკო, არისტოვი, მატვიენკო, ტოლსტოი, აპტერმანი, მალიავკინი, კონოვალოვი, ჩაპლიგინი, ბორისენკო, ბოკატოვი (უდოვენკო).
მსაჯი ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

საკავშირო თასის გათამაშების ფორმულას ფეხბურთის მოყვარულები კარგად იცნობენ: შეჯიბრების შემდგომ ეტაპზე გასასვლელად ორი მატჩის ჯამში გუნდმა ქულათა მეტი რაოდენობა უნდა დააგროვოს. თუ ასეთი უპირატესობა არ მოხერხდა, გამარჯვების საკითხს წყვეტს გატანილი ბურთები.

თუ ამ დებულებას განვიხილავთ თბილისის „დინამოსა“ და ხარკოვის „მეტალისტის“ კერძო მაგალითზე, მდგომარეობა 8 მარტისთვის ასეთი იყო: შინ ხარკოველებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0, საპასუხო მატჩი კი დინამოელებს უნდა მოეგოთ 3 ან მეტი ბურთის განსხვავებით, რათა მერვედფინალის ვიზა მიეღოთ. იმავე ანგარიშით რევანში დამატებით დროსა და პენალტების სერიას გამოიწვევდა.

ესე იგი, თბილისელებს სავსებით ნათელი და კონკრეტული ამოცანა ჰქონდათ: გამარჯვება 3 ბურთის უპირატესობით. მაგრამ მოდი და გაიტანე სამი გოლი ატალახებულ მინდორზე, როცა მეტოქეს უკვე აქვს მარაგში ორი ბურთი და თავგამოდებით, ძალების დაუზოგავად იბრძვის უკვე მოპოვებულის შესანარჩუნებლად. ძნელი ამოცანაა!

„მეტალისტმა“ რუსთავის სტადიონზე მართლაც დაამტკიცა, რომ მისი პირველი გამარჯვება მთლად შემთხვევითი არ ყოფილა. იშვიათად გვინახავს ასეთი შეუპოვარი, ენერგიული, მებრძოლი გუნდი. ყოველი მოთამაშე აკეთებდა მაქსიმუმს, რაც შეეძლო, და... ცოტა მეტსაც. სავჩენკო გამუდმებით თამაშში იყო ჩაბმული და ერთიმეორეზე იღებდა უძნელეს ბურთებს. მცველებს არ აკლდათ დახმარება წინა ხაზის მოთამაშეთაგან, რომლებიც შუა მინდორზე ძალიან ძნელად დასაძლევ ზღუდეს ქმნიდნენ. მაგრამ საკმარისი იყო მცირე შესაძლებლობა, კონტრიერიშის ოდნავი შანსიც კი და შეტევაში დარჩენილ ბოკატოვს მაშინვე მხარში უდგნენ ჩაპლიგინი, ბორისენკო, კონოვალოვი. ასე შეიქმნა „დინამოს“ კარის აღების რამდენიმე რეალური მომენტი, რომლებსაც შეეძლოთ დიდი უსიამოვნება მოეტანათ ჩვენი გუნდისთვის. თამაში მთლიანად „მეტალისტის“ ნახევარზე მიმდინარეობდა, მაგრამ დროდადრო არც სტეფანიას აკლდა სამუშაო და არც მის მცველებს.

აი, ამ უკანასკნელთა, ესე იგი მცველთა მიმართ უნდა ითქვას, რომ ისინი ახლა საკმაოდ შორს დგანან იდეალისაგან. ისინი ნამდვილი, საბრძოლო ფორმით ვერ ხვდნენ. „დინამოს“ მცველები ხშირად უშვებდნენ როგორც ტაქტიკური, ისე ტექნიკური ხასიათის შეცდომებს, აგვიანებდნენ მოწინააღმდეგის კონტრიერიშისას, აგებდნენ ინდივიდუალურ ბრძოლასაც.

კარგად ითამაშა ნახევარდაცვის ხაზმა მთლიანად და თავდამსხმელებმაც, რომლებმაც აიძულეს ხარკოველები ღრმა დაცვაში ემოქმედათ.

ანგარიში გაიხსნა მე-5 წუთზე: დინამოელთა ძლიერი და სწრაფი შეტევის შემდეგ სავჩენკომ ძლივს მოიგერია გ. ნოდიას ბურთი, მას მიუსწრო გავაშელმა და ახლოდან გაიტანა გოლი.

მე-5 წუთზე — 1:0! ეს გეგმის შესრულებას ნიშნავდა, მაგრამ არ გასულა სამიოდე წუთი, ბოკატოვი მარჯვენა ფლანგზე გაექცა მცველებს, მიაწოდა ცენტრში, აქ კვლავ იქნა დაშვებული შეცდომა და ბორისენკომ ნელი დარტყმით გაგზავნა ბურთი კარში — 1:1.

ამ მარცხმა ახალი სიძნელეები წამოჭრა დინამოელთა წინაშე. ახლა სამი ბურთის გატანა საქმეს აღარ შველოდა და „ნორმა“ ოთხამდე გაიზარდა. ამას მალე ისიც დაემატა, რომ ტრავმის გამო მინდორი დატოვა ასათიანმა. საჭირო შეიქნა მთელი ძალით, მთელი ენერგიით ბრძოლა. ასათიანის ნაცვლად გამოსული კუტივაძე სწრაფად ჩაერთო თამაშში და „დინამო“ გადავიდა ხანგრძლივ, ძლიერ შეტევაზე. რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ დინამოელებმა ტაიმის მიწურულს მაინც შეძლეს დაწინაურება: გ. ნოდიამ დროზე მიუსწრო კუტივაძის გადაცემას — 2:1.

საინტერესო ამბები მოხდა შესვენების შემდეგ. 71-ე წუთზე ლ. ნოდიასთან ბრძოლისას „მეტალისტის“ მცველი გუნკო ხელით შეეხო ბურთს. პენალტი ეჭვს არ იწვევდა და ვ. ლიპატოვს წამითაც არ უყოყმანია. მაგრამ 11-მეტრიანის სისწორეში ეჭვი შეიტანა სავჩენკომ და თავისი პროტესტი ისეთი უწმაწური სიტყვებით გამოხატა არბიტრის მიმართ, რომ ეს უკანასკნელი, მსაჯთა საკავშირო კოლეგიის თავმჯდომარე, იძულებული გახდა მეკარე მინდვრიდან გაეძევებინა. ხარკოველებმა მაშინვე შეცვალეს მინდვრის მოთამაშე ბოკატოვი სათადარიგო მეკარე უდოვენკოთი და გ. ნოდიასთან „დუელი“ მან დაავალეს. დინამოელმა უდოვენკოს ბურთის აღების არავითარი შანსი არ დაუტოვა — 3:1.

თასის მერვედფინალში გასვლის შესაძლებლობა ისევ რეალობად იქცა. თბილისელები კვლავ და კვლავ უტევდნენ. 79-ე წუთზე კომბინაცია გაითამაშეს ძოძუაშვილმა და ებრალიძემ, ბურთი ცენტრში გადაეცა გ. ნოდიას და ცენტრფორვარდის „ჰეტ-ტრიკის“ შემდეგ „დინამომ“ ანგარიშში მიაღწია იმ განსხვავებას, რომელიც მას სჭირდებოდა — 4:1. მეთექვსმეტედფინალის ძნელი ეტაპი გუნდისთვის კეთილად დამთავრდა.

რ. ქორიძე.

* * *



სურათზე: აგრესიული თამაშით გამოიჩინა თავი დინამოელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა გ. ნოდიამ. იგი აქ მეორე ბურთის გატანის დროსაა აღბეჭდილი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## ბრძოლას გამოეთიშნენ

„საკავშირო შეჯიბრებების დებულების“ დარღვევასთან დაკავშირებით ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ გააუქმა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის პირველი მატჩის შედეგი კუიბიშევის „კრილია სოვეტოვსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივს“ შორის. 12 მარტს დანიშნულია გადათამაშება ხოსტაში („კრილია სოვეტოვი“ მასპინძლად ჩაითვლება).

იაროსლავლის „შინიკის“ გუნდის თხოვნით იგი მოხსნილია სსრ კავშირის თასის გათამაშებიდან და მისი მეორე მეთექვსმეტედფინალური შეხვედრა ალმა-ატის „ყაირათთან“ აღარ შედგა. ალმაათელები შეჯიბრების მომდევნო ეტაპზე ითამაშებენ.

## სათასო განრიგი

სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩების კალენდარი ასეთია:

**11 მარტი.** „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (ლენინგრადი). მატჩი გაიმართება სოჭში. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — სოჭში.

**12 მარტი.** „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „კარპატი“ (ლვოვი), „დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (ყარაგანდა), „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — სოჭში, „დინამო“ (კიევი) — ასკ (დონის როსტოვი) — სიმფეროპოლში.

**13 მარტი.** ცსკა — „დინამო“ (მოსკოვი) — სოჭში.

**15 მარტი.** „ყაირათი“ (ალმაათა) — კუიბიშევის „კრილია სოვეტოვსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივს“ შორის გამარჯვებული — სოჭში.

განმეორებითი მატჩების დღეებია:

**15 მარტი.** „დინამო“ (ლენინგრადი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) — სოჭში.

**16 მარტი.** „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „სპარტაკი“ (მოსკოვი), „კარპატი“ (ლვოვი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა), „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „დინამო“ (თბილისი), ასკ (დონის როსტოვი) — „დინამო“ (კიევი), „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ტორპედო“ (მოსკოვი).

**17 მარტი.** „დინამო“ (მოსკოვი) — ცსკა — ტაშკენტში.

**18 მარტი.** „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) ან „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ყაირათი“ (ალმაათა) — სოჭში.

## საქართველოს ჩემპიონატი

8 მარტს გაიმართა II ტურის მატჩები.

● „კოლხეთი“ (ხობი) — „იბერია“ (ხაშური) 1:1. მსაჯი გ. გუჯაბიძე (ფოთი).

ორივე გუნდის კარში გატანილი გოლები მეკარეთა შეცდომების შედეგი იყო, თანაც ეს შეცდომები მოხდა ზედიზედ, თითქმის ერთ წუთში. ანგარიში 30-ე წუთზე გახსნა ხაშურელმა ლომსაძემ, ხოლო საპასუხო ბურთი კარასიოვმა გაიტანა.

● „გიგანტი“ (ლაითური) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 1:0. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

„ლოკომოტივის“ ფეხბურთელები ყოვლად უმსგავსოდ იქცეოდნენ. მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის მინდვრიდან გაძევებული იქნა მეკარე ტეტელაშვილი, ხოლო ყაულაშვილს გაფრთხილება მიეცა.

● „ხულორი“ (ვანი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 0:1. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

უდისციპლინო საქციელისთვის გაფრთხილება მიიღო ცხაკაიელმა ნ. კოლაიშვილმა.

● „სამცხე“ (აწყური) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 3:2. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

სტუმრებმა კარგად ჩაატარეს პირველი ნახევარი და შესვენებისთვის 2 ბურთით დაწინაურდნენ (გლინიანოვი, ტოგონიძე), მაგრამ მათი წარმატება ამით ამოიწურა. „სამცხემ“ შეძლო გარდატეხის შეტანა თამაშში და საბოლოოდ გამარჯვებასაც მიაღწია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საჟიღე ბურთი გაიტანა ტალაკოლნიკოვმა და მასვე შეეძლო მეოთხე ბურთის გატანა, ზუსტად რომ დაერტყა პენალტი.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილება მიიღეს აწყურელმა ხარჩილაძემ და, სამწუხაროდ, მატჩის გმირმა ტალაკოლნიკოვმა.

● „ისანი“ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

ისნელებმა გაიმარჯვეს ტარზანის მიერ 70-ე წუთზე გატანილი ბურთის წყალობით.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია თბილისელი იაშალოვი.

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 8:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

თავიანთ ამ წარმატებას ზუგდიდელებმა მიაღწიეს შესვენების შემდეგ. ბურთები გაიტანეს რევაზიშვილმა, ბაქრაძემ და გელდიაშვილმა.

● ასკ (თბილისი) — „ვარკეთილი“ (გარდაბანი) 1:1. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

არმიელებმა პირველ ტაიმში დაკარგეს ბურთის გატანის რამდენიმე ნაღდი შესაძლებლობა და დასჯერდნენ მხოლოდ პოტეხინის მიერ ზუსტად შესრულებულ პენალტს. შემდგომში გარდაბნელებმა გამოასწორეს თამაში, რაც გაჯაშელიშვილის საპასუხო გოლით დამთავრდა.

● „შუქურა“ (ქობულეთი) — „კახეთი“ (თელავი) 2:1. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

ანგარიში გახსნა თელაველმა რომ. ცირეკიძემ, მაგრამ ამ წარმატების შენარჩუნება „კახეთმა“ ვერ შეძლო, ვინაიდან ძალიან ხუსტად ითამაშეს დაცვამ და მეკარე რეხვიაშვილმა. კრესტიანინოვისა და პოლტაჩიდის მიერ გატანილმა გოლებმა გამარჯვება „შუქურას“ მოუტანა.

● „ფერიქარი“ (წულუკიძე) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 0:0. მსაჯი მ. მიმინოშვილი (თბილისი).

● „განთიადი“ (ბორჯომი) — „სინათლე“ (თბილისი) 1:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

# კონგრესის საინტერესო გადაწყვეტილებანი

მძლეოსნობის ევროპული ასოციაციის ბოლო კონგრესზე (ოსლო) მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს და კონტინენტის რეკორდებიც დაამტკიცეს.

ევროპის მძლეოსნობის ასოციაციის საბჭომ კონგრესზე წინადადება შეიტანა, ხოლო კონგრესმა დაამტკიცა: ევროპის 1973 წლის თასის გათამაშების ფინალი ვაჟებისა და ქალებისთვის ერთდროულად ერთ ქალაქში მოეწყოს. პირველ დღეს თასისთვის ქალები იასპარეზებენ, მეორე და მესამე დღეს — ვაჟები.

აქვე იმსჯელეს იმაზე, რომ 1973 წლიდან შემოიღონ კონტინენტის თასის გათამაშება ხუთჭიდსა და ათჭიდში. ამ საკითხს საბოლოოდ განიხილავენ კონტინენტის ასოციაციის საბჭოს სხდომაზე, რომელიც წლეულს მაისში გაიმართება ლოზანაში.

ოსლოში მოისმინეს, აგრეთვე, კონტინენტის წლევანდელი ზამთრის ჩემპიონატის მასპინძლის — საფრანგეთის დელეგაციის მოხსენება ტურნირისთვის გრენობლის (გაიმართება 11-12 მარტს) მზადების შესახებ, დამტკიცდა შეჯიბრების განრიგი და მონაწილე გუნდების შემადგენლობანი.

გადაწყდა კონტინენტის მორიგი, 1973 წლის ზამთრის ჩემპიონატი როტერდამში ჩატარდეს.

კონგრესზე დიდი დისკუსია გაიმართა სსრ კავშირის მძლეოსნობის ფედერაციის წინადადების irგვლივ, რომელიც მოზრდილთა ევროპულ ჩემპიონატში სათადარიგო მონაწილის შეყვანას და იუნიორთა პირველობის პროგრამისთვის 5000 მეტრზე რბენასა და 20 კილომეტრზე სპორტული სიარულის დამატებას ითვალისწინებდა.

პირველი წინადადება უყოყმანოდ მიიღეს. ამიერიდან ევროპის პირველობაში მონაწილეობის განაცხადის წარდგენისას პროგრამის ყველა სახეობაში ძირითადი მონაწილის გარდა სათადარიგოთა შეტანაც შეიძლება, ოღონდ სათადარიგოს უფლება აქვს ძირითადი სპორტსმენი ტურნირის დაწყებამდე არაუგვიანეს ოთხი დღით ადრე შეცვალოს.

რაც შეეხება იუნიორთა შეჯიბრების პროგრამაში 5000 მეტრზე რბენის შეტანას, ეს წინადადება მიიღეს შესწორებით: ერთსა და იმავე სპორტსმენს უფლება აქვს გამოვიდეს ან 3000 ან 5000 მეტრზე რბენაში. პროგრამაში 20 კმ-ზე სპორტული სიარულის ჩართვის წინადადება უარყვეს.

გადაისინჯა ევროპის 1974 წლის ჩემპიონატის პროგრამა და მას ქალთა შორის 3000 მეტრზე რბენა დაემატა.

დასასრულ კონგრესმა დაამტკიცა კონტინენტის ახალი რეკორდები. აი, ისინიც:

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | დამყ. ადგილი | თარიღი |
|---|---|---|---|---|
| | | **ქალები** | | |
| 1500 მ რბენა | 4.09,6 | კ. ბურნელაიტი (გდრ) | ჰელსინკი | 15.8.71 |
| სიმაღლეზე ხტომა | 192 | ი. გუზენბაუერი (ავსტრია) | ვენა | 4.9.71 |
| ბადროს ტყორცნა | 64,22 | ფ. მელნიკი (სსრ კავშირი) | ჰელსინკი | 12.8.71 |
| 4×100 მ ესტაფეტა | 43,3 | გფრ-ის ნაკრები | ჰელსინკი | 15.8.71 |
| 4×400 მ „—“ | 3.29,3 | გდრ-ის ნაკრები | ჰელსინკი | 15.9.71 |
| | | **ვაჟები** | | |
| 100 მ | 10,0 | მ. კოკოტი (გდრ) | ერფურტი | 15.5.71 |
| 3000 მ | 7.39,8 | ე. პუტემანსი (ბელგია) | ბრიუსელი | 31.8.71 |
| 5000 მ | 13.22,2 | დ. ბედფორდი (ინგლისი) | ედინბურგი | 12.6.71 |
| 10000 მ | 27.47,0 | დ. ბედფორდი (ინგლისი) | პორტსმუტი | 10.7.17 |
| ბირთვის კვრა | 20,69 | ჰ. ბრიზენიკი (გდრ) | ბერლინი | 6.6.71 |
| | 21,08 | ჰ. ბრიზენიკი (გდრ) | ჰელსინკი | 13.8.71 |
| | 21,12 | ჰ.-ი. როტენბურგი (გდ) | მოსკოვი | 28.8.71 |

კონგრესის საყურადღებო გადაწყვეტილება გახლდათ ის, რომ ევროპის ყველა ჩემპიონატის (მოზრდილთა, იუნიორთა, ზამთარში გამართული შეჯიბრებები), აგრეთვე, ოლიმპიური თამაშების სააპელაციო ჟიურის შემადგენლობებში არჩეული იქნენ ეროვნული ფედერაციების წარმომადგენლები. რაც შეეხება ევროპის თასზე გამართულ შეჯიბრებას, სადაც საერთო გუნდური ჩათვლა ოფიციალურად აღინუსხება, სააპელაციო ჟიური შეიქმნება იმ ქვეყნების ფედერაციების წარმომადგენლებისგან, რომელთა გუნდები ფინალში არ მონაწილეობენ.

ფეხბურთი

# პირველი წარმატება

8 მარტს ბელგრადში გაიმართა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური შეხვედრა იუგოსლავიის მრავალგზის ჩემპიონსა და თასის მფლობელ „ცრვენა ზვეზდასა" და მოსკოვის „დინამოს" შორის.

დინამოელები ყოველგვარი ქების ღირსნი არიან. მათ დაამარცხეს (2:1) ძლიერი მეტოქე, რომელიც ახლა, 18 ტურის შემდეგ, ეროვნული ჩემპიონატის ლიდერთა ჯგუფშია.

ანგარიში პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გახსნა მოსკოველმა კოჟემიაკინმა. ეს გოლი ერთადერთი იყო 87-ე წუთამდე, როცა ბელგრადელთა ერთერთი საპასუხო იერიში გოლით დაამთავრა ფილიპოვიჩმა. ფრე თითქოს ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ წუთის შემდეგ ბერშკოვიჩმა მეორედ აიღო „ცრვენა ზვეზდას" კარი.

დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: პილგუი, ბასალაევი, საბო, დოლმატოვი, ზიკოვი, ჟუკოვი, იაკუბიკი, მახოვიკოვი, ბაიდაჩნი (ბერშკოვიჩი), კოჟემიაკინი, ევრიუჟიხინი (კოზლოვი).

განმეორებითი მატჩი 22 მარტს შედგება ტაშკენტში.

• •

# ევროპული ტურნირები

8 მარტს გაიმართა საკლუბო გუნდების ევროპული ტურნირების მეოთხედფინალური შეხვედრები:

### ჩემპიონთა თასი

„ფეიენოორდი" (ჰოლანდია) — „ბენფიკა" (პორტუგალია) 1:0.
„დოჟა" (უნგრეთი) — „სელტიკი" (შოტლანდია) 1:2.
„ინტერნაციონალე" (იტალია) — „სტანდარდი" (ბელგია) 1:0.
„აიაქსი" (ჰოლანდია) — „არსენალი" (ინგლისი) 2:1.

### თასების მფლობელთა თასი

„სტეაუა" (რუმინეთი) — „ბაიერნი" (მიუნჰენი, გფრ) 1:1.
„ტორინო" (იტალია) — „გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია) 1:1.
„ატვიდაბერგი" (შვეცია) — „დინამო" (ბერლინი, გდრ) 0:2.

### უეფა-ს თასი

„იუვენტუსი" (იტალია) — „ვულვერჰემპტონი" (ინგლისი) 1:1.
„უტა" (რუმინეთი) — „ტოტენჰემი" (ინგლისი) 0:2.
„მილანი" (იტალია) — „ლიერსი" (ბელგია) 2:0 (პირველი მატჩი — 1:1). ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი „მილანი" გავიდა უეფა-ს თასის ნახევარფინალში.

22 მარტს გაიმართება სამივე ტურნირის განმეორებითი შეხვედრები.




### „სანტოსი" შავ დღეშია

განთქმული ბრაზილიური კლუბის — „სანტოსის" არასახარბიელო მდგომარეობაზე ახლა მთელი სამყაროს სპორტული პრესა წერს. პელეს გუნდს ერთობ ცუდად აქვს საქმე, თუმცა მას ინერციის ძალით კვლავ იწვევენ საგასტროლოდ სხვადასხვა ქვეყანაში.

„სანტოსი" ახლაც ტურნეს ატარებს უცხოეთში. ბირმინგემში (ინგლისი) ამას წინათ 50 ათასი მაყურებელი დაესწრო ადგილობრივი „ასტონ ვილას" მატჩს ბრაზილიელებთან. „ასტონ ვილა" ოდესღაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საერთაშორისო საფეხბურთო სამყაროში, მაგრამ მისი ეს დიდება წარსულს ჩაბარდა: „ასტონ ვილა" ახლა III ლიგაში გამოდის.

და აი, ამ ორი ყოფილი ფავორიტის მატჩი „სანტოსის" წაგებით დამთავრდა, თუმცა პელე მინდორზე იყო. ანგარიში დასაწყისშივე გახსნა მაკ-მაჰონმა, შესვენების შემდეგ კი გრეიდონმა მეორე ბურთი გაიტანა სტუმრების კარში. ბრაზილიელები „მშრალი" ანგარიშით დამარცხებას გადაარჩინა ედუმ — 1:2.

### ჯილდო ფეხბურთელს მიენიჭა

დასავლეთ გერმანიაში მოთამაშე დანიელი ფეხბურთელი ლეფევრი ხმების დიდი უმრავლესობით სცნეს დანიის № 1 სპორტსმენად. იგი დანიის ნაკრებისა და გფრ-ის ჩემპიონ „ბორუსიას" (მენჰენგლადბახი) მოთამაშეა. ლეფევრმა დანიელ სპორტის გულშემატკივართა კონკურსში 30 ათასი ხმა მიიღო.

II ადგილზე გავიდა მოკრივე ჰანსენი (20 ათასი ხმა).

# ლიდერობს კარინ იანცი

ჰალე, 9 მარტი. გდრ-ისა და სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა აქ მიმდინარე მატჩში სავალდებულო პროგრამის შემდეგ მასპინძლები დაწინაურდნენ — 182,70:181,00.

პირად ჩათვლაშიც გდრ-ის წარმომადგენელი, ევროპის ექს-ჩემპიონი კ. იანცი ლიდერობს. ბერლინელმა სტუდენტმა 37,45 ქულა დააგროვა.

II და III ადგილებზე საბჭოთა ტანმოვარჯიშეები არიან: ვორონეჟელ ლ. ბურდას 37,3 ქულა აქვს, ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონს, ვიტებსკელ თ. ლაზაკოვიჩს — 37,2.

სხვა საბჭოთა სპორტსმენებს ჯერჯერობით ასეთი ადგილები უკავიათ: VIII. ო. ვოროშილინა (ვორონეჟი) — 35,8 ქულა, X. ო. კარასიოვა (მოსკოვი) — 35,3, XI. ა. კოშელი (მინსკი) — 35,0, XII. ო. კორბუტი (გროდნო) — 34,4.

დღეს გაიმართება მატჩის დასკვნითი ნაწილი — შეჯიბრება ნებისმიერი პროგრამით.




◆ დორტმუნდი, 10 მარტი. სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა აქ გამართულ ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 15:13 (8:4) დაამარცხა გფრ-ის გუნდი.

◆ ბრიუსელი, 10 მარტი. ფრენბურთელ ქალთა შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური ტურნირის პირველ დღეს მწვავე ორთაბრძოლაში, რომელმაც თითქმის ხამ საათს გასტანა, მოსკოვის „ლოკომოტივმა" ანგარიშით 3:2 (16:14, 10:15, 17:15, 16:18, 15:10) დაამარცხა თანაქალაქელი დინამოელები. მეორე შეხვედრაში პრაღის „ტატრანმა" მოუგო ლოძის „სტარტს" — 3:0 (15:11, 15:7, 15:9).

◆ ლონდონი, 10 მარტი. მაგიდის ჩოგბურთში ევროპული ლიგის პირველობის მორიგ მატჩში გათამაშების ლიდერმა — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა ანგარიშით 5:2 აჯობა ინგლისის გუნდს. აღსანიშნავია, რომ ჩეხოსლოვაკიელებმა ზედიზედ ხუთივე მატჩი მოიგეს.

◆ ვოროშილოვგრადი, 10 მარტი. ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებამდე 3 ტურით ადრე ოქროს მედლები ცსკა-ს მოთამაშეებმა გაინაღდეს. აქ მიმდინარე შეჯიბრების მესამე დღეს მათ ძნელ ბრძოლაში სძლიეს როსტოველ თანაკლუბელებს და 18 ქულით მიუწვდომელი აღმოჩნდნენ. ამ მატჩის ანგარიშია 3:1 (18:20, 17:15, 15:4, 15:13). სამაგიეროდ, გართულდა ბრძოლა II და III ადგილებისთვის. ვერცხლის მედლების მთავარი პრეტენდენტი — ვოროშილოვგრადის „ზვეზდა" III ტურში დამარცხდა რიგის „რადიოტექნიკთან" — 1:3 (13:15, 15:3, 7:15, 15:17), ხოლო III ადგილზე მყოფმა ლენინგრადის „ავტომობილისტმა" ასეთივე ანგარიშით (15:9, 15:5, 7:15, 15:13) მოუგო ოდესელ სტუდენტებს.

# არსენ მეკოკიშვილი



მართლაც გულდასაწყვეტია: იგი ძალიან გვიან გამოვიდა ჭიდაობის სარბიელზე და ადრე წავიდა ამ ცხოვრებიდან. არსენ მეკოკიშვილს 12 აპრილს შეუსრულდებოდა 60 წელი.

ძნელია დაასახელო სხვა სპორტსმენი — ქვეყნის 18-გზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის უძლიერესი ათლეტი.

სწორედ ასეთი იყო შესანიშნავი ქართველი ფალავანი, გიორგიწმინდელი გოლიათი, სპორტის დამსახურებული ოსტატი არსენ მეკოკიშვილი.

არსენი მთელს საგარეჯოში ცნობილი ფალავნის ფიდო მეკოკიშვილის ჯაგი გახლდათ.

— არსენს სანდროს ჩოხა მოუხდებათ! — ამბობდნენ სოფლის ბერიკაცები.

— კვიცი გვარზე ხტისო!

— კვერს უკრავდნენ მათ არსენის ბიძები, საკმაოდ ძლიერი და გიორგიწმინდაში პოპულარული მოჭიდავეები — ძმები გიორგი, ნიკო, სოლომონ და მიხეილ მეკოკიშვილები.

მალე ეს ნატვრაც ახდა. ერთ მშვენიერ დღეს საგარეჯოში თვით სანდრო კანდელაკი გამოცხადდა, თავის ძველ მეგობარს, ცნობილ მოჭიდავე მიხეილ ქურხულს ეწვია. ამ უკანასკნელმა სახელმოხვეჭილ ფალავანს თავისი მოწაფეები წარუდგინა, რომელთა შორის არსენ მეკოკიშვილიც გახლდათ. ჭაბუკმა გამზრდელი არ შეარცხვინა და იქვე სახელდახელოდ გამართულ შეჯიბრებაში ზედიზედ დაამარცხა რამდენიმე მეტოქე.

— ამ ბიჭისგან რაღაცა გამოვა! — გადაულაპარაკა კანდელაკმა ქურხულს და დასტურის მოლოდინში იქვე გვერდით მჯდომ მაყურებელს გახედა. უცნობმა დასტურის ნიშნად გაიღიმა. მაშინ არსენმა არ იცოდა, თუ ის კაცი თვით კულა გლდანელი იყო.

ეს ეპიზოდი სამგლოვიარო წერილში შეიძლება უადგილოც ყოფილიყო, ასე რომ არ ჰყვარებოდა მისი ხშირად გახსენება არსენ მეკოკიშვილს.

ალბათ იმ დღეს გააკეთა გიორგიწმინდელმა ჭაბუკმა საბოლოო არჩევანი — ჭიდაობა!

თანასოფლელები ამაყობდნენ გოლიათით და ისიც ცდილობდა არ შეერცხვინა თავისი თაყვანისმცემლები. მაგრამ გიორგიწმინდის პატარა საჭიდაო უკვე აღარ აკმაყოფილებდა ფალავანს. 22 წლის არსენი თბილისს ეწვია, სადაც რესპუბლიკის აბსოლუტურ პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში მიიღო მონაწილეობა. მის გამოსვლას დიდი მოწონება ხვდა. არსენი სოფელში ჩემპიონის სახელით დაბრუნდა.

ამის შემდეგ მან ზედიზედ ოთხჯერ მოიპოვა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება და დაიწყო აქტიური მზადება დიდი ჭიდაობისთვის.

28 წლისა იყო მეკოკიშვილი, როცა პირველად მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი. ამ ასაკში სპორტსმენები ხშირად უკვე ტოვებენ სარბიელს.

გიორგიწმინდელმა მოჭიდავემ ბევრი მეტოქე გააკრა ბეჭებით ხალიჩას და ახლა საზღვარგარეთელებთან სურდა ეცადა ბედი.

აქაც შეაგვიანდა არსენს. მისი დიდი საერთაშორისო დებიუტი მხოლოდ 1952 წელს შედგა. ჰელსინკის XV ოლიმპიურმა თამაშებმა მართლაც ჭიდაობის მთელს ელიტას მოუყარა თავი. ქართველი გოლიათი იმ დროისთვის უკვე ორმოც წელს ითვლიდა. მაღალ ათლეტური აღნაგობის ვაჟკაცს თმაში უკვე შეპარვოდა ვერცხლი. ამ დროს იგი უკვე საბჭოთა სპორტის ვეტერანად ითვლებოდა — ქვეყნის 14-გზის ჩემპიონის სახელს ატარებდა.

პირველივე შეხვედრაში მეკოკიშვილმა წმინდად გაიმარჯვა უნგრეთის ჩემპიონ ი. კოვაჩთან და ამისთვის სულ 6 წუთი დასჭირდა. კიდევ უფრო სწრაფად (5 წუთში) დასცა ბეჭებზე იტალიელი ვეკი. ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია მეკოკიშვილმა ინგლისელთა იმედ ქ. რიჩმონდთან შეხვედრაშიც.

აღსანიშნავია, რომ ამ ასპარეზობაში გამოვიდა თვით ბერტილეს ანტონსონიც — „ჩრდილოეთის გიგანტად" მონათლული მსოფლიოს ჩემპიონი.

მეკოკიშვილი — ანტონსონი. ეს ორთაბრძოლა აგერ უკვე ოცი ათეული წელია არ ავიწყდება არც ერთ სპორტის მოყვარულს, რომელსაც იმ დღეს ბედნიერება ჰქონდა „მესუჰალის" პირთამდე სავსე დარბაზში მოხვედრილიყო.

რამდენჯერ გამოსულა ანტონსონი ევროპისა და ამერიკის საუკეთესო ათლეტებთან საჭიდაოდ, მაგრამ ასე არასოდეს გასჭირვებია.

ბევრი ოფლი დაუღვრია გიორგიწმინდის, საგარეჯოს, თბილისისა თუ მოსკოვის საჭიდაო ხალიჩებზე არსენ მეკოკიშვილსაც, მაგრამ ამდენი ჯაფა მართლაც არასდროს დასდგომია.

ამის შემდეგ მეკოკიშვილი და ანტონსონი კიდევ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, მათ შორის, ჩრდილოეთის სამშობლოშიც, და გამარჯვება ისევ და ისევ ქართველ გოლიათს რჩებოდა.

დღეს, როცა არსენ მეკოკიშვილი ჩვენს შორის აღარ არის, გვაგონდება მისი უკანასკნელი გამოსვლა. არსენი 45 წლისა იყო, როცა ბრწყინვალედ მოიგო საბჭოთა კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალი.

ამაგდარ სპორტსმენს განსაკუთრებით ესიამოვნა ეს ჯილდო, რომელიც ამავე დროს მისი სპორტული დღეგრძელობის დამადასტურებელიც იყო. მაგრამ არსენს ათმაგად და ასმაგად უხაროდა თავისი ვაჟის წარმატება, როცა გიორგიმ მძიმე წონაში მოსკოვის ჩემპიონობა მოიპოვა ჭაბუკთა შორის.

არსენი მუდამ ზრუნავდა ახალგაზრდობისთვის — ქართული ჭიდაობის სახელოვანი ცვლისთვის.

ა. მეკოკიშვილი სკკპ წევრი იყო 1940 წლიდან. ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას. თელავის ოთხწლიანი კურსების დამთავრების შემდეგ მუშაობდა თელავსა და თბილისში შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით, მედლით „კავკასიის დაცვისთვის", ბევრი სიგელითა და დიპლომით, ჰქონდა საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება სამბოსა და თავისუფალ ჭიდაობაში, თითქმის ათ წელიწადს იყო სსრ კავშირის ნაკრები გუნდის უცვლელი კაპიტანი.

ძნელია წერო ადამიანზე, რომელიც ჯერ კიდევ ორიოდე დღის წინ სიხარულით დააბიჯებდა მამაპაპურ კარმიდამოში, ხარობდა თავის ახლობლებთან, შვილთან და შვილიშვილთან.

არა, ეს ნეკროლოგი არ არის. დღეს ჩვენ გვინდოდა კიდევ ერთხელ გაგვეხსენებინა არსენ მეკოკიშვილის სახელოვანი ბიოგრაფია, მისი თბილი გული და ფართო, კახური ღიმილი.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი.**

**თავისუფალი ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, თავისუფალი ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია და გაზეთ „ლელოს" რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სახელოვანი ქართველი ფალავანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი

არსენ მეკოკიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 11 მარტს 6 ს. განსვენებულის ბინაზე საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში. გამოსვენება 12 მარტს 3 ს. სოფლის კლუბიდან.

### თბილისის სპორტულ ცხოვრება

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატი. 11 მარტი. „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი). დასაწყისი: სათადარიგო შემადგენლობებისა — 16 ს., ძირითადი შემადგენლობებისა — 18 ს.

**ხელბურთი.** სპორტის სასახლე. ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრები. 12 და 14 მარტი. თბილისი (ნაკრები) — ლიუბლიანა (ნაკრები). მატჩების დასაწყისი 18 ს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)




12 მარტი
სსრ კავშირის თასის გათამაშება
მერვედფინალური შეხვედრა
„დინამო" (თბილისი) — „შახტიორი" (ყარაგანდა)
დასაწყისი 15 ს.
ბილეთები გაიყიდება 11 და 12 მარტს სტადიონის სალაროებში 10 საათიდან.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 02573